საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი, 28 მაისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 116

ერთობა

ფასი 1 მან

გაზეთი ღირს: 1 თვით 35 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

საქ. სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ახალციხის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 28 მაისს გარდაიცვალა პარტიის და მიწის მუშათა საბჭოს წევრი

სოლომონ იოსების ძე ხმალაძე

ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 28 მაისს გარდაიცვალა საბჭოს წევრი

სოლომონ იოსების ძე ხმალაძე

შაბათს 31 მაისს (ახ. სტ.) ს. ქვენობნის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მშობელი: დედა ტასია, ძმები სიო და მიხაკო, რძალი ბუერბული, და ფროლენცია და სიძე ანდრია რამიშვილი.

დიდად დამწუხრებულნი: მეუღლე ტასია, დედა ეკატერინე, ძმა ივანე, ძმისწული გიორგი, დები: ანანა და ვარვარა, სიძეები თასები და ალექსანდრე, დისწულები: ალექსანდრე, ნიკოლოზი, მარია, ნინა, კონსტანტინე, ნინა და მიხეილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დაუვიწყარი

ვასო მოსეს ძე კაკანაძის

ორმოცის წირვა გადახდილი იქნება ხუთშაბათს, დილის, 29 მაისს წმინდა ნინოს ეკლესიაში.

დ. ახაშენის მოსამსახურენი და მცხოვრებნი, გულითადი მეგობრები და ნაცნობნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ნაცნობთ და მეგობრებს უდროო გარდაცვალებას მათთვის დაუვიწყარის

ბართლომე გრიგოლისძე კოიავასი

დაბა ახაშენის სამოქალაქო დეპუტატთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება დაბა ახაშენის სამოქალაქო საბჭოს დეპუტატის

ბართლომე გრიგოლის-ძე კოიავას

უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ახაშენის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის სამზრუნველო საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავებს უდროო გარდაცვალებას საბჭოს წევრის

ბათლომე გიგოს ძე კოიავას

ახლად გარდაცვალებულის

დავით ალექსის ძის ჟიჟიძის

ჭირისუფალნი გულითადად მადლობას მოახსენებენ ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც სიტყვიერად თუ წერილობით, დაკრძალვაზე დასწრებით თუ დეპეშით, პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, ხოლო ჩვენ ჭირისუფლებს გვანუგეშეს და გაგვამხნევეს.

ქ. ყვირილის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს 12 საათზე ადგილობრივ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ამხ.

მიტია (დიმიტრი) ბაჩეჩილაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვთ დაესწრონ ამხანაგების დასწრება კი სავალდებულოა. წრის კოლექტივი.

სახელმწიფო თეატრი

დღის წარმოდგენა. დღის წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 29 მაისს 1919 წელს **კ. ფოცხვერაშვილის** მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება პირველად თფილისში სრულიად საქართველოს დამკვრელ მომღერალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური

დაუფასებელი ყრილობა-კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ხუთას ქალ-ვაჟთაგან შემდგარი ხორო, სამას კაცისაგან ხმაშეწყობილი [illegible] ორკესტრი, ქართული დამკვრელ-მომღერ. მოცეკვავეთა გუნდი, სახ. თეატრის ახალი საოპერო ხორო, სახელმწიფო-თეატრის არტისტები ვ. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, კომპოზიტორები ჩერეპნინი, ჰარტმანი, არაყიშვილი. ფალიაშვილი და სხვანი. გურიიდან მოწვეული გუნდი შეასრულებს სხვათა შორის პირველად თფილისში ხალხურს, [illegible], ხელხვავს, ხასანბეგურას, [illegible] და სხვას.

დასასრულ გაიმართება ძველი ქართული ფერხული და საომარ-საზეიმო ცეკვა

ხორუმი

კონცერტის [illegible] მონაწილეობას მიიღებს ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა, დამფუძნებელი კრების [illegible] წარმომადგენლები, [illegible]. დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—1)

დამოუკიდებლობის წლის თავი

რუსეთის რევოლუციის დამარცხების პროცესში იშვა საქართველოს დამოუკიდებლობა. სანამ ძლიერი იყო რუსეთის რევოლუცია, სანამ მისი დემოკრატია ერთს მთლიან ფრონტს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობაზე არავის უფიქრია. ამ მხრით მტკიცე და შეუპოვარი იყო ჩვენი პოზიცია და ჩვენს პარტიას არა ერთი და ორი მძიმე ბრალდება სმენია ქართველ ერისადმი ღალატისა და ორგულობაზე. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებდა მეტი ანგარიში გაგვეწია ცხოვრებისათვის, მდგომარეობა მოითხოვდა ჩვენგან არ დავმსგავსებოდით იმ პარტიებს და ჯგუფებს, რომელთაც ხალხთან სუსტი კავშირი აქვთ და ამიტომ ნაკლებად დაგიდევენ თუ რა ნაყოფს გამოიღებს მათი სურვილების ასრულება, რადგან კარგად იციან, რომ, სულ ერთია, ეს მათი სურვილები დარჩებიან ქაღალდში მოლაპარაკის ხმად.

როცა ჩვენ შეცვლილ გარემოების მიხედვით გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, ამაში ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ინტერნაციონალური იდეის დამარცხება დაინახეს: ქართველმა ნაციონალისტებმა სიხარულით და ზეიმით ამცნეს ქვეყანას „სოციალ-დემოკრატიის მორჯულება", და თავისებურად ხოტბაც შეასხეს მას; ხოლო სხვა ერების და, განსაკუთრებით რუს-სომეხთა ნაციონალისტებმა, წყევლა-კრულვით მოიხსენიეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის „ღალატი" და „შოვინისტობა".

დამოუკიდებლობის წლის თავმა ჯეროვანი პასუხი გასცა ორივე ჯურის ნაციონალისტების განგაშს: ჩვენი ხალხი მშვიდათ შეხვდა ამ დიად ისტორიულ აქტს, მიუხედავად იმისა, რომ ის მთელი საუკუნის განმავლობაში შეეჩვია აზრს, რომ რუსეთი მისი მფარველია ოსმალეთის და სხვა ველურ ტომთა წინააღმდეგ და თუ ადგილი ჰქონდა მას შემდეგ დუშეთის და საჩხერის აჯანყებებს, ეს იყო ერთგვარი ვანდეა, მიმართული დემოკრატიის წინააღმდეგ, ეს იყო გამოძახილი იმ ხულიგანურ-ბოლშევიკური მოძრაობისა, რომელმაც ჯერ კიდევ სეიმის დროს იჩინა თავი ჯავის ხეობაში და შორაპნის მაზრაში, და არსებითათ თუ ფორმალურადაც ოსმალეთის აგენტების საქმეთ უნდა ჩაითვალოს.

ქართველმა ხალხმა სძლია ყოველ გასაჭირს და მთელი ერთი წლის განმავლობაში ზიდა იმ მძიმე მოვალეობათა უღელი, რომელიც ზიდვა მას დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დააკისრა. და რაც, ალბათ, გაუგებარია ნაციონალისტებისათვის, ქართველი ხალხი, მისი უდიდესი ნაწილი გლეხობის და მუშათა კლასის სახით, არამც თუ არ ჩამოშორებია სოციალ-დემოკრატიას, არამედ კიდევ უფრო მჭიდროთ დაუკავშირდა მას და სოციალ-დემოკრატიის დროშაში გახედა მთელი ერის დროშათ.

ეს უდიდესი გამარჯვებაა არა მარტო სოციალ-დემოკრატიის და მისი პროგრამის, არამედ მთელი ერის: ქართველმა ხალხმა, შეიძლება ითქვას, ამ ერთი წლის განმავლობაში იგრძნო თავი ერთ მთლიან ერათ, რაც ჩვენს ისტორიას არ ახსოვს, რადგან საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, როცა ის დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, დანაწილებული იყო ან რამდენიმე სამეფოდ და სამთავროთ, ან შიგნით მაინც რამდენიმე წოდებათ, რომელთა შორის დიდი იურიდიული უფლებრივი ზღვარი იდო.

1919 წლის 26 მაისმა აცნო ქვეყანას, რომ საქართველომ შექმნა ახალი, ჯერ მის ტერიტორიაზე არ ნახული, სახელმწიფო—დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც თვით ხალხი უდგას სათავეში და ხალხი ასაზრდოებს; 26 მაისმა ცხადჰყო, რომ არ მოკვდება ის ერი, რომელსაც ასეთი ფხიზელი და განვითარებული დემოკრატია ჰყავს.

ქართველი ერი მკვდრეთით აღსდგა, მაგრამ აღსდგა განახლებული და გაძლიერებული.

სომხეთი და ადერბეიჯანი

გუშინ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის წლის თავი იყო, დღეს ასეთსავე წლის თავს დღესასწაულობს სომხეთი. საქართველოს მაგალითს, რომელმაც შარშან 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მიჰყვნენ ადერბეიჯანი და სომხეთი, რომელთაგან პირველმა 27, ხოლო მეორემ 28 მაისს აღიარეს თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ.

პატარა საქართველოს არ შეეძლია გულწრფელი სიხარულით არ შეეგებოს ამ ორი მეზობლის დღესასწაულს. საქართველომ იცის, რომ მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ნაბიჯი გადადგა მან 26 მაისს და ეს ნაბიჯი ან ბედნიერების წყაროთ გადაიქცევა მისთვის, ან უბედურების; საქართველომ იცის, რომ მისთვის საშუალო გზა, გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან, დახშულია. და ამიტომ საკუთარ ძალებს გარდა ის თავის ორ მეზობელთან ურთიერთობასაც უდიდეს ანგარიშს უწევს.

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა, მის დემოკრატიას არ სჭირდება დიპლომატობა, ხოლო ახლო მეზობლებთან დიპლომატობას ის შეგნებულათ გაურბის. და ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში არც ადერბეიჯანს და არც სომხეთს არ გამოუჩენიათ საკმაო სიმტკიცე დამოუკიდებლობის დაცვის და ჩვენთან კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარების საქმეში.

ეს გარემოება მწუხარებით ავსებდა ჩვენს გულს მთელი წლის განმავლობაში და საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულობის შემდეგ ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ჩვენი მეზობლებიც ისევე მტკიცეთ აწარმოებდნენ დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს, როგორც ჩვენი დემოკრატია.

ამ იმედით ვეგებებით ჩვენ ადერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის წლის თავს: გაუმარჯოს დამოუკიდებელ და განახლებულ ადერბეიჯანს და სომხეთს! გაუმარჯოს ადერბეიჯანის და სომხეთის დემოკრატიას!

პრესა

„აშხატავორი" (№ 104) ეხება იმ საკითხს, თუ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რა გაუკეთებია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

„თუ გადავხედავთ იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ამ უკანასკნელ წელს საქართველოს ეროვნული მთავრობა პატარა ერების მიმართ საერთოთ, და კერძოთ სომხის ერის მიმართ, უნდა ვსთქვათ, რომ არა თუ არაფერი დადებითი და სასარგებლო არ გაკეთებულა, არამედ—პირიქით, მისი პოლიტიკა სრულებით უარყოფილი ყოფილა პატარა ერების და მათი უფლებებისადმი.

„რესპუბლიკის დამყარების დღიდან საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიამ ხელი აიღო თავის წინანდელ ლოზუნგებზე და გააძლიერა თავისი ნაციონალისტური პოლიტიკა, [illegible] სამოქალაქო მშვიდობიანობის ლოზუნგი რესპუბლიკის საზღვრებში და თავადური კლასის აგრესიული პოლიტიკა ქვეყნის შიგნით მცხოვრებ პატარა ერების მიმართ და მოსაზღვრე რესპუბლიკებისადმიც.

„პატარა ერები ამ ერთი წლის განმავლობაში უფლებრივის მხრით სრულიად მოკლებული იყვნენ.

„არ ყოფილა პატარა ერებისთვის საქართველოს საზღვრებში არც ქონების და არც პატივის უზრუნველყოფა, არც მათი უფლებრივი სამოქალაქო თავისუფლების უზრუნველყოფა.

„პირიქით, მოქალაქენი დევნილნი იყვნენ მთავრობისა და მისი აგენტების მიერ მხოლოდ და მხოლოდ იმ საბაბით, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ამ ან იმ არა ქართველ ერს.

„მაგრამ ამ გზით არ უნდა წავიდეს ქართველი ხალხის და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ისტორიული გზა.

„ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებულნი ვართ, რომ ადრე თუ გვიან ქართველი მშრომელი ხალხი ამოიღებს თავის ხმას ამ შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და თავის ქვეყანაში დაამყარებს დემოკრატიულ წესრიგს.

„პატივისცემა ეროვნულ უმცირესობის მიმართ და ამ უფლების განმტკიცება საკანონმდებლო აქტის საშუალებით,—აი ერთი დიდი საქმე, რომლითაც ქართველი ხალხი თავის პოლიტიკურ სიმწიფის ეგზამენს დაიჭერს.

„პატარა ერების უფლება უნდა პატივცემული იყოს საქართველოში სწორეთ ისე, როგორც ევროპიული დემოკრატია პატივს სცემს პატარა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლიან მოთხოვნილებას".

ქართველმა დემოკრატიამ დიდი ხანია „ეგზამენი დაიჭირა", რაც „აშხატავორმაც" იცის, იცის მან ისიც, რომ ჩვენში სრულიად განდევნილია თავადური პოლიტიკა და ყველა ერი თანასწორობით სარგებლობს საქართველოს ტერიტორიაზე და თუ სომხის პლუტოკრატიას ეცლება თანდათან ჩვენში ნიადაგი, ეს სწორეთ იმით აიხსნება, რომ ჩვენმა დემოკრატიამ საუკეთესოთ „დაიჭირა ეგზამენი"!

26 მაისი
თფილისში.

26 მაისის დღესასწაული—საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი—თფილისში გრანდიოზულად ჩატარდა.

საუცხოვო მაისის დღე გათენდა. დილიდანვე ქუჩები, დაწესებულებები და კერძო სახლები ნაირ-ნაირად მორთული იყო ხალიჩებით, ეროვნული დროშებით და ვარდ-ყვავილებით. მოქალაქენი დილიდანვე გამოეფინენ ქუჩებში. სხვადასხვა ორგანიზაციები დანიშნულ ვადაზე გამოცხადდნენ სასახლის წინ და დაიკავეს მთელი დამფუძნებელი კრების ქუჩა. 10 საათზე სამხედრო საკრებულოს ეზოში გაიმართა ჯარების აღლუმი. აღლუმი მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. მას თან ახლდნენ ამერიკის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, ადერბეიჯანის, სომხეთის და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. აღლუმის გათავების შემდეგ ჯარები და მთელი პროცესია სამხედრო მუსიკით და სიმღერებით გაემართა ოლღის და წყნეთის ქუჩით ვაკეზე, რომელიც მოშორებულია ქალაქს სამი ვერსით, სადაც საგანგებოდ დიდ მინდორზე, მთა-გორაკებზე მოწყობილი იყო სადღესასწაულო სტადიონი.

ჰაეროპლანებმა ქალაქს რამოდენიმეჯერ თავს გადაუარეს. დღესასწაულის გამო არსენალის გორაკიდან რამდენჯერმე გაისროლეს ზარბაზანი.

ვაკეზე საგანგებოდ მორთულ კარვებში მოთავსდა მთავრობა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვ.

ნაშუადღევს კორტეჟის პროცესიაც მოვიდა დანიშნულ ადგილას. პირველად მოდიოდენ ჰეროლდები დამოუკიდებლობის საყვირით. შემდეგ ორკესტრები და მომღერალი გუნდები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი. საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებდა სხვადასხვა სიმბოლიური გამოხატულებანი: „რევოლუცია", „საქართველოს დამოუკიდებლობა", „საქართველოს გაერთიანება" და „განათლება". შემდეგ მიდიოდენ „შევარდენები", მთელი თავისი შემადგენლობით: ქალთა და ვაჟთა ჯგუფებით. მერე მიდიოდა მოწაფეთა ჯგუფები, პროფესიონალური ორგანიზაციები, სოფლის წარმომადგენლები (დიღმის, წყნეთის და სხვ.), ხევსურები აბჯარ-მუზარადით, აჭრები და სხვ.

1 საათზე საზეიმოდ დანიშნული ველი გაივსო ზღვა ხალხით. დროშების მთელი ტყე გაჩნდა. 2 საათი შესრულდა და სადღესასწაულოდ მომავალ ხალხის ჯგუფები არ ილეოდა. რიცხვით მოსული ხალხი 100 ათასს აღემატებოდა.

2 საათზე დაიწყო დღესასწაული. რამდენიმე ასი კაცისაგან შემდგარმა შეერთებულმა ორკესტრებმა შეასრულეს ეროვნული ჰიმნი „დიდება" კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით. ორკესტრებმა და გუნდებმა აგრეთვე შეასრულეს სხვადასხვა ჰიმნე-

დღეს

ინგლისის მუშათა დამოუკიდებელი პარტია პროტესტს აცხადებს გერმანიისადმი წარდგენილ ზავის პირობების გამო.

საბჭოთა ჯარებმა მარიუპოლი დასტოვეს. ტიხორეცკაიას მიმართულებით ბრძოლა გრძელდება.

იტალია ფიუმეს საკითხში არაფერს სთმობს.

ფრანგული პრესის ცნობით, პეტროგრადში აჯანყებაა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მურმანზე დამარცხების შემდეგ საბჭოთა ჯარების ზოგიერთი სარდალი გადააყენეს.

ბი და სიმღერები. სტადიონზე დაიწყო „შევარდენთა“ ვარჯიშობა.

ეს ულამაზესი სანახაობა მოგაგონებდათ ძველი საბერძნეთის დღესასწაულს „ოლიმპიის გასართობებს“. გაიმართა ფუტბოლის თამაში, ხევსურთა ფარიკაობა და სხვადასხვა გასართობები.

4 საათზე 10 წუთით წამოინამა, ოდნავ მოსაღამოვდა თუ არა, ზღვა ხალხი ნელნელ დაიშალა.

წესრიგი არსად არ დარღვეულა, დღესასწაულს ხელმძღვანელობდენ ხელოვნების კომისია, დამფუძნებელი კრების წევრები. სტუდენტები და ქალაქის მილიცია იცავდენ წესრიგს.

საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. საგანგებოდ მორთული იყო სხვა და სხვა დაწესებულებები. თეატრებში სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართა. ქალაქში აუშვეს შუშხუნები. მამა დავითის გორა ცეცხლის მთას მოგაგონებდათ.

დიდებულად ჩატარდა დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული საქართველოს დედა ქალაქში.

(ნაწყვეტები დღიურიდან)

26 მაისი, დილა.

სადღესასწაულოთ მორთულ მოედვარე თფილისს, მის მოდარაჯეს ისტორიულ ამბების მოწამეს მდუმარებით მოცულ მთაწმინდას, საბურთალოს მწვანეთ მოსილ თარეხებს, კრწანისის ველს, ნაძალადევის მშრომელთა უბანს, ცხრა დეკემბრის სევდიან ადგილს,—მყუდრო ძმათა სასაფლაოს, წარსულის და აწმყოს მომმზეს, საგაზაფხულოთ აზვირთებულს მოდუდუნე მტკვარს მაისის მზემ თავისი ნათელი სხივები მოაფრქვია...

გაზაფხულის მშვენიერი დილა. იავარდით აყვავებული ბუნების ნაზი სანახაობა, დროშებით შემოსილი ქუჩები და ბაღები, საზეიმოთ გამზადებული ხალხის ზღვა, ცხოვრების მწვავე სინამდვილის შავ ფიქრებს, ნაღველს და მოწყენილობას დროებით გიქრობს...

ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი დიად შემოქმედების ფერხულში ჩაბმულნი, მადლი, კეთილშობილური აზრებით საერთო მხიარულებასთან, ბუნების საიდუმლოებასთან შეერთებულ შედუღებულნი.

გიტაცებს და მტკიცე იმედებს გაძლევს, რომ სიცოცხლე დაამარცხებს სიკვდილს, დღე ღამეს, თავისუფლება რეაქციას და ჩვენი ამაყი მთების, მინდორ ველების, ორწოხ-ნაპრალების ცელქი მაისის ნიავი სალამს უძღვნის თავისუფალ საქართველოს დემოკრატიისაგან მსოფლიოს დემოკრატიას, თავ-განწირულთა აკლდამებს, შორს მთებში, ბრძოლის ველზედ და ბარიკადებზე მოდარაჯე ღირსეულ შვილებს...

შუადღე.

თავისუფლების მოედანს შევსცქერი... სურათი გამოცვლილია... მესმის თავისუფლების სიმღერა... ვხედავ საქართველოს გაერთიანებულ თაიგულს... მის ისტორიულ სანახაობას. დიდებულ განცდას, კულტურას, მუსიკას...

ვხედავ წარსულის მოგონებებს. აწმყოს ძლიერს სიყვარულს, ძლევა-მოსილ მსვლელობას მომავალისაკენ...

აჭარელი და მესხეთელი, გურული და მეგრელი, იმერელი და რაჭველი, სვანი, სამურზაყანელი, აფხაზი, კახელ-ქართლელი. თუშ-ფშავ-ხევსურნი, მთიულნი,—ყველა ერთად, ერთი გრძნობით თავისუფლების მოედანზე შეკრებილან.

სიმღერა დინჯი, მიმზიდველი, ფიქრების ამღძვრელი, კახეთის უხვ ბუნების შინაარსიდან ამოღებული...

სიმღერა ჩქარი, მღელვარების, თავგანწირულების, გამტაცებელი გურიის ცოცხალ გულიდან ამოხეთქილი.

თავისუფლების მოედანს ეფინება, ხალხის გრძნობებში იქსოვა...

საზეიმო პროცესიას მიჰყვება...

ქუჩა ხმაურობს. ვაშა და ტაშის ცემა ირგვლივ...

წინ რევოლუციის ემბლემა, წითელი დროშებით, ზედ ასული მშვენიერი წითლათ მოსილი, იქვე მუშა თავისი ტანსაცმელით, ჩაქუჩით, მოტეხილი სახით, მაგრამ რევოლუციონური გამომეტყველებით უსიტყვოთ აგრძნობინებს ყველას, თუ ვინ ქმნის და აწარმოებს რევოლუციას, ვინ იბრძვის და დაიცავს მას...

რევოლუციის ემბლემას მიჰყვებიან ხალხის წარმომადგენლები...

მას უკან საქართველოს დამოუკიდებლობის ემბლემა, დროშებით, ტრადიციული ტანსაცმელით ქართველი ქალები, ქართული დღეები...

დღეები, რომლებიც გამოხატავენ განთავისუფლებულ საქართველოს სახეობას.

ორ ძვირფას სურათს „რევოლუცია“, „საქართველოს დამოუკიდებლობას“ თან საქართველოს გაერთიანების კვალდაკვალ და „გაზაფხულის“ ემბლემა ამშვენებს...

რევოლუცია, მონარქისაგან განთავისუფლებული ნორჩი რესპუბლიკა, გაერთიანებული პატარა საქართველო, გაზაფხულის ტრფობით შეზავებული, ასეთი უდიდესი წუთები შეჰქმს გოლიათების სანახაობას ისტორიის ფურცლებში, ადამიანის გამოუთქმელ საიდუმლოებით შემოჭრილ ფიქრთა საზღვრებში...

მუშათა მოძრაობამ მოახდინა რევოლუცია. რევოლუციამ მოიპო ერთგული ტანჯვა ხალხისა და ხალხის ამოძრავების გაზაფხულის გულ-ღია სამოთხისებური სიყვარული ქმნილებას ისტორიის არაჩვეულებრივ ქმნს...

მივდივართ. ზღაპრული, ლეგენდარული აღწერილობა მიგვიძღვება წინეთ, ეხლა სინამდვილეში გაიტაცა ჩემი გრძნობა... მაგრამ... მაგრამ ჩემი აღტაცება გზაზე ხშირათ იცვლება და მაგონდება ის ტანჯული ამხანაგები, რომლებმაც თავი შესწირეს ხალხის განთავისუფლებას და ისინი ვერ ესწრებიან თავისუფლების დღესასწაულს, ვეღარ ხედავენ თავის ნაყოფს, ვერ სტკბებიან დიადი სანახაობით, გაზაფხულის დამატკბობელი ნიავით...

ჩემს დაფიქრებას ბოლოს უღებს მოხუცი რევოლუციონერის გამომეტყველება, რომელიც რევოლუციის ემბლემას მიჰყვება, რომელიც აერთიანებს 1917 წლის 4 მარტის ბრწყინვალე სანახაობას დღევანდელ სანახაობასთან...

მაშინ ის პირველმა მესიანური სახით ხელებ-გაშლილი მოგვევლინა და გვაუწყა:

„აღსრულდა!...“

დღეს წინ მიგვიძღვება იგი მოხუცი, ჩვენი ძალა, ნერვები რევოლუციისა და აღვივებს რწმენას ჩვენში უკვდავებისას, გამარჯვებისას...

ვაკეს სურათებს თავს გორები დასცქერის... მოწმენდილ ცას შორიდან ეფინებიან შავი ლეგა ღრუბლები...

სახალხო მომღერალთა გუნდის გალობა, სამხედრო ორკესტრთა ჰიმნები, „პატარა და დიდ შევარდნების“ ფიზიკური ვარჯიშობა კი ამტკიცებდა, რომ თავისუფლების ჩვენს პატარა კუნძულს ამიერიდან ვერ გათელავს შავი ღრუბლები...

ღამე.

რევოლუციის აკვანი, თავისუფლების მესაიდუმლე, ერთა ძმობის, ძველი ქალაქი, ჩვენი თფილისი გაჩირაღდნებულია...

ჰაერში შუშხუნები გაიელვებენ და ღამის უსაზღვრო მდუმარებას არღვევენ.

ქუჩები, ბაღები, გასართობები, თეატრები ხალხით სავსეა.

საზეიმო აღფრთოვანებულ ქალაქს, სულიერი კმაყოფილებით დამტკბარ ხალხს, ცის ციურ განუსაზღვრელობას, ფიქრიან მდინარეს შესცქერის მდუმარებით მოცული მთაწმინდის მთები. მთები, რომლებიც ძველიდ დროთა ბრუნვის, ცვალებადობის, ხალხის სიხარულის, ტანჯვის, აწიოკების, ტრაგედიის, სისხლის ღვრის მოწმენი გამხდარან. გამოთხოვებიან დღის დიდებულ სანახაობას, დღის ელვარებას...

ეთხოვებიან ისტორიულ ღამის საზეიმო სანახაობას... ეთხოვებიან და ჩვენი მთები, ახალ ზრახვებს ქმნიან ჩვენს გულში, რომ ხალხი, რომელმაც გაიარა თავისი ეკლიანი გზა, დაასრულებს თავის მოთხრობას და შთამომავლობას გადასცემს 26 მაისის ისტორიის ფურცელს...

ანანია.

პროვინციაში.

26 მაისის დღესასწაულის გამო შემდეგი დეპეშები და წერილები მივიღეთ:

ხიდნაღი. ვდღესასწაულობთ რა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის წლის თავს განურჩევლათ ეროვნებისა, ლეღოფოლის წყაროს საზოგადოება, ვუსურვებთ რესპუბლიკის ფეხზედ დგომას, მთავრობას დღეგრძელობას და მუდამ გამარჯვებას.

საზოგადოების მონდობილობით პარმენ გელაშვილი.

გურჯაანი. გულწრფელათ ვულოცავთ ყველას დღესასწაულს—26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, უძღვნით სალამს დამფუძნებელ კრებას, რათა მათი შრომით დამყარებულიყოს ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო.

გურჯაანის კოლექტივი.

ყაზბეგი. გილოცავთ ბრწყინვალე დღეს—26 მაისს. სულით და გულით ვდღესასწაულობთ ამ ყველაზე უნეტარეს დღეს. მოგიძღვნით ჩვენ გულწრფელ სალამს თქვენ, სოციალ დემოკრატების ძველ ბელადებს. 26 მაისი არის ბრწყინვალე გამარჯვება დემოკრატიისა. სალამი საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამცველთ და სახალხო გვარდიას

იაგორ შადური.

ყაზბეგი. ნოე ჟორდანიას. [illegible] მყინვარის მთის კალთების, სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრებნი მოგიძღვნით გულწრფელ სალამს თქვენ, სოციალ დემოკრატიის [illegible] ბელადს და თქვენს თანამოაზრეებს გილოცავთ უნეტარეს დღეს. სულით და გულით ვდღესასწაულობთ 26 მაისს. სალამი სახალხო გვარდიას, სალამი საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამცველთ. ხალხის მონდობილობით კომისარი მაგლე ფიცხელაური, პავლე ქუბაშვილი, იაგორ შადური, კოტე ფიცხელაური.

რუსეთი და გერმანია საზავო კონფერენციაზე

(ვლ. ვოიტინსკის მოხსენებიდან).

საფრანგეთის კონფერენციაზე დაისვა რუსეთის საკითხი. მოკავშირეთა დიპლომატია აღიარებდა რუსეთის საკითხის ფრიად სერიოზულ საკითხათ. ის გადაჭრით ამბობდა, რომ გერმანიასთან შეუძლებელია ზავის ჩამოგდება იმ დრომდე, ვიდრე მის ზურგში არის ბოლშევიკური რუსეთი.

ძლიერ მწვავეთ იდგა საკითხი იმის შესახებ, მიეღო თუ არა რუსეთს მონაწილეობა კონფერენციაში.

ამ საკითხის გადასაჭრელათ მათ საჭიროთ ნახეს მოეხდინათ წინასწარი მოლაპარაკება რუსეთთან. მათ სურთ ისეთი მთავრობის შედგენა რუსეთში, რომელიც მომხრე იქნებოდა კლემანსოს პოლიტიკის და შემდეგ ასეთ მთავრობასთან ეწარმოებიათ მოლაპარაკება, მაგრამ დარწმუნდენ რა, რომ ეს შეუძლებელი იყო, გადასწყვიტეს არსებულ ბოლშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკება.

უძნელდებოდათ იმის გადაწყვეტა, თუ სად უნდა მომხდარიყო ეს მოლაპარაკება.

და რადგან ძლიერ ეშინოდათ მათთან საფრანგეთში მოლაპარაკება, ამიტომ ამისთვის აირჩიეს პრინცევის კუნძული. მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ბოლშევიკებთან ერთად მიეწვიათ ოფიციალურ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მთავრობების წარმომადგენლნი, ბოლშევიკურ მთავრობას, თუმცა მათი ოფიციალური მოწვევა არ მიუღია, მაგრამ მაინც ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენ მზათ ვართ გამოვგზავნოთ წარმომადგენელნი, სადაც დაგვესახელებით. ამასთან გაცნობებთ, რომ ჩვენ მზათ ვართ წავიდეთ დიდ დათმობაზე, მაგ., ჩვენ ვცნობთ უცხოეთის ვალს, უზრუნველვყოფთ უცხოელების საკუთრებას, მივდივართ დიდ ტერიტორიალურ დათმობაზე, მაგრამ ყოველივე ეს მაშინ მოხდება, თუ ეხლავე იქნება ზავი ჩამოგდებული, თორემ შემდეგ შეიძლება ძლიერ შევამოკლოთ ჩვენი დათმობანი“ ანტი-ბოლშევიკურმა სახელმწიფოებმა დაუწყეს ლოდინი ჯარებს ბოლშევიკების მხარის დაქირავში მტყუნება და ბოლოს ვერავითარ შეთანხმებამდინ ბოლშევიკებთან ვერ მივიდნენ. რადგანაც ამ მოლაპარაკებამ ვერავითარი შედეგი ვერ მიაღწია, არავითარი შეთანხმება ბოლშევიკებთან არ მოხდა, მაშინ მოკავშირეთა დიპლომატიამ გადასწყვიტა ბოლშევიკების დარბევა.

ამ მიზნით დიპლომატიამ დასვა კონფერენციაზე მცირე სახელმწიფოთა საკითხი. ის პირდებოდა მცირე სახელმწიფოთა სრულ დამოუკიდებლობის მიცემას, თუ კი ისინი თავიანთ ჯარს გამოიყვანდენ ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი დაპირებანი აღუთქვეს კოლჩაკს—მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა და სხვა ასეთები, თუ ის თავის ჯარს გამოიყვანდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მთავარი როლი ამ ბოლშევიკების დარბევის ჰქონდა დაკისრებული თავისივე სურვილით საფრანგეთს.

გადიდგა მართლაც პრაქტიკული ნაბიჯები. გაგზავნილ იქნა ოდესაში ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ჯარი, მაგრამ იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ერთი ნაწილი ასე მიისწრაფოდა ბოლშევიკების დარბევისაკენ, მისი მეორე ნაწილი სოციალისტების სახით ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ ბოლშევიკებისთვის დახმარება აღმოეჩინათ. ის ამტკიცებდა, რომ ჯარი ძლიერ მოქანცული იყო და მას არ ძალუძს ახალი ომის გაწევა. იმავე დროს სოციალისტები ჯარში დიდ აგიტაციას ეწეოდენ ბოლშევიკების სასარგებლოთ. და ამან კიდეც გამოიღო თავისი ნაყოფი. ოდესაში გაგზავნილი ჯარი საიმედო არ შეიქნა. არსებითად შეუძლებელი შეიქნა ბოლშევიკების დარბევა და ასე, ამ მეორე პროექტმაც ვერ ჰპოვა თავისი განხორციელება.

ამის შემდეგ მოკავშირეთა დიპლომატიამ სცადა მესამე საშუალება: გერმანიასა და რუსეთს შორის ერთნაირი კედელი აღემართა პოლონეთის სახით. ის კედელი, რომელიც შეთანხმების დიპლომატიამ ვითომდა აღემართა ბოლშევიზმის შესაჩერებლად, თითონ აღმოჩნდა კარგი გამტარებელი ბოლშევიზმისა.

უკანასკნელად შეთანხმების დიპლომატიამ სცადა ხელახალი მოლაპარაკების გამართვა ბოლშევიკებთან და წაუყენა ასეთი პირობები:

ჩვენ წინადადებას გაძლევთ შეწყვიტოთ სამოქალაქო ომი, შესწყვიტოთ შეიარაღებული გამოსვლა დენიკინლების წინააღმდეგ. ჩვენ სურსათით მივაწოდებთ რუსეთის იმ ნაწილებს, რომლებიც ამას შეასრულებენ. ამაზე ბოლშევიკები არ დასთანხმდენ და ასე, ეს მეოთხე ცდაც უშედეგო შეიქნა.

ამნაირად, ბოლშევიკებთან მოლაპარაკებამ განვლო ოთხი ფაზა, მაგრამ უშედეგოთ. არავითარი შეთანხმება არ მოხდა.

კერენსკის მთავრობის ელჩნი საზღვარგარეთ ახდენდენ თათბირს, რომელსაც მიზნათ ჰქონდა კოლჩაკის და დენიკინის მთავრობის გამაგრება, მაგრამ ამ პოლიტიკურ თათბირს არავინ ანგარიშს არ უწევდა. უმრავლესობა რუსებისა საზღვარგარეთ (120,000 ჯარისკაცი) ბოლშევიკურათ არიან განწყობილი.

გერმანიის შინაურ მდგომარეობაზე არავითარი ცნობები არ მოდის. არის ცნობები მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორი იყო დაყენებული გერმანიის საკითხი კონფერენციაზე. სასურსათო კრიზისი, აი რის გარშემო სწარმოებდა ლაპარაკი. გერმანია დროებითი ზავის ჩამოგდების დროს მართლაც წარმოუდგენელ სასურსათო კრიზისს განიცდიდა. შეთანხმების სახელმწიფონი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ, თუ გერმანიას არ აღმოვუჩინეთ სურსათის მხრივ დახმარება, ჯარისკაცობა ამ კრიზისით გამოწვეულ გულშემზარავ სურათის შემყურე, უსათუოდ გაბოლშევიკდებიან. ამ დახმარების სამაგიეროთ მათი დადგენილებით გერმანიას უნდა გადაეცა მათთვის სავაჭრო ფლოტი. გერმანიის სურსათის მიწოდებით ინგლისმა აიღო ოქრო, რამაც აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთის მხრივ, რადგან მას ეს ოქრო მიაჩნდა თავისათ. მეორე კითხვათ კონფერენციაზე დასვეს დანციგის საკითხი. მათ გადასწყვიტეს დანციგის პოლონეთისთვის გადაცემა, რითაც უნდოდათ გერმანიის ორ ნაწილათ გაყოფა. ეს კითხვა არსებითად შეიცავდა გერმანიის მთლიანობის თუ დანაწილების საკითხის გადაჭრას. ეს განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.

საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავდენ გადაჭრით, რომ გერმანიამ უნდა გადაიხადოს ვალი, იარაღი აყაროს ჯარს და გადასცეს მათ სამხედრო ფლოტი. გერმანია დასთანხმდა სამხედრო ფლოტის დათმობაზე, მაგრამ ამ გემთა მოკავშირეთა შორის განაწილების საკითხი დღემდე ვერ არის დასრულებული. ამან დიდი უთანხმოება გამოიწვია საფრანგეთსა და ინგლის-ამერიკას შორის.

საფრანგეთის, როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული ნაწილი, მხარს უჭერს გერმანიის უკიდურეს სპარტაკელების მიმართულებას. პირველი, ცხადია თუ რისთვის. მეორე კი იმ მოსაზრებით, რომ ეშინიათ შეიდემანის გამარჯვების, რომელსაც, მათი აზრით, მოყვება გერმანიის სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დადგომა და ამით 80 მილიონიანი სახელმწიფო დიდ საშიშროებას უქადის საფრანგეთს, რომელსაც მოკავშირენი თავის დროზე დახმარებას ვერ აღმოუჩენენ.

ასეთია ბურჟუაზიის მოსაზრება, როდესაც ის არჩევანს სპარტაკელებს არგუნებს. სპარტაკელები, მისი აზრით, ვერ ჩააყენებენ სახელმწიფოს საშიშრო კალაპოტში.

გერმანიაში მწვავე ხასიათს ღებულობს სამოქალაქო ომი. გერმანია არ აძლევს პასუხს წამოყენებულ საზავო პირობებზე. ამით მას სურს რაც შეიძლება საქმე გაახანგრძლივოს. მანამდე დაარწმუნებენ რა ყველას იმაში, რომ შეთანხმების სახელმწიფონი არავითარ დათმობაზე არ მიდიან, იმედი აქვთ, რომ ამის შემდეგ იპოვიან ხალხში სასურველ თანაგრძნობას.

ასეთია დაახლოვებით მდგომარეობა გერმანიაში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

26—27 მაისი

შვეიცარიული პრესის ცნობები

ჰოლანდიური გაზეთები გამოაქვეყნებენ საზავო პირობების წინააღმდეგ ინგლისის მუშათა დამოუკიდებელ პარტიის მიერ განცხადებულ პროტესტის ტექსტს. ხსენებული პარტია აცხადებს, რომ საზავო პირობები ეწინააღმდეგება საქვეყნოდ მოკავშირეების მიერ განცხადებულ ომის მიზნებს და აშკარავებენ მოკავშირეთა ნამდვილ მიზნებს: პოლიტიკურად და კომერციულად გერმანიის განადგურება. ეს პირობები მილიტარიზმის მოსპობას კი არ ნიშნავს, არამედ მოკავშირეთა ქვეყნებში ამ სისტემის გაძლიერებას.

სამხედრო ტყვეების შესახებ საპასუხო ნოტაში კლემანსო ამბობს: „მოკავშირეთა წარმომადგენლებმა განიხილეს გერმანიის დელეგაციის მიერ მაისის 10 წარმოდგენილი ნოტა და საჭიროდ სცნობენ აუწყონ, რომ არ შეუძლიათ განთავისუფლონ სამხედრო ტყვეები და დაპატიმრებული მოქალაქენი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს მოკავშირეთა ტერიტორიაზე. იქ არსებულ კანონების ძალით მისცეს ისინი სამართალში და მხედველობაში არ მიუღიათ, რომ ისინი გერმანელები იყვნენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

შაბათს დილით შემდგა ოთხთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც ავსტრიის ხელშეკრულების ეკონომიური პირობები განიხილეს. ამას გარდა გუშინ შეიმუშავეს საარის ოლქის შესახებ ბროკდორფ-რანცაუს-ნოტის პასუხის საბოლოო ტექსტი. „ტან“-ი ამბობს, რომ ამ ტექსტში ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების ის პირობები შევიდა, რომლებიც ხელშეკრულებაში იყო საარის ოლქის მართველობის შესახებ. ცვლილება შეეხება მხოლოდ წვრილმანებს და უმთავრესათ ფულის გადახდას, 15 წლიწადი რომ გავა, პლებისციტის მოხდენის შემდეგ, მადაროების გამოსასყიდით.

შაბათს ნაშუადღევისას ხუთი საგარეო საქმეთა მინისტრის სხდომაზე შემდეგი საკითხები განიხილეს: ავსტრიასა და უნგრეთთან დადებულ ხელშეკრულებათა ფინანსიური პირობები, გერმანელთა ჯარის მოქმედება ლიტვაში; საჰაერო ნავოსნობის კონტროლი, ჩრდილოეთ რუსეთის ბედი და სხვა.

ჩეხო-სლოვაკების, სამხრეთის სლავიანების, პოლონელების და რუმინელების განმარტებებს ორშაბათს დილით ზარალის ანაზღაურების კომისია მოისმენს.

იტალიის დელეგაციის შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებანი მოხდა: კრისპი სალანდრას ჰმონაცვლის და მარკიზი იმპერიალი მარკიზ საიგოლს.

ხუთთა საბჭომ პარასკევს შეიმუშავა რუმინიის, ბანატის და ბუკოვინის საზღვრები.

უკრაინის პრესის ბიურო იუწყება: სტანისლავოვიდან ცნობები მოვიდა, ვითომ გენ. პეტლიურა აპირებს ბოლშევიკების მხარეზე გადავიდეს და გალიცია დაიპყროს. ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება.

ბროკდორფ-რანცაუ და გერმანიის დელეგაციის ერთი ნაწილი სპაში შეიდემანთან, დერნბურგთან და ერცბერგერთან საზავო პირობების შესახებ თათბირის შემდეგ ვერსალში დაბრუნდნენ 24 საათით ადრე. დელეგაციის დანარჩენ წევრებს სპადან სულ მოკლე ხანში მოელიან.

„დეილი მეილ“-ში მოთავსებულია მაისის 22 ის თარიღით ჰელსინგფორსიდან მიღებული დეპეშა, რომელიც მოწმობს, რომ პეტროგრადში, [illegible] ადგილას უზარმაზარი ცეცხლი გაჩნდა, აფეთქებანი მოხდა. ბოლშევიკებს მცხოვ-

რეზნი აჯანყდნენ და სატახტო ქალაქის დასაცავად შეიარაღებულმა მუშებმა პირი იბრუნეს, თავის შემავიწროებელთ შეებრძოლნენ და ეხლა ქალაქის ქუჩებში ბრძოლა სწარმოებს. ამ ცნობის ოფიციალური დადასტურება ჯერ არაა მიღებული. სხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბალტიის მხარის მცხოვრებლებმა ბალშევიკებს ქ. რიგა წაართვეს, ხოლო ლატვის ჯარი მდ. სტირ, პრიმეტამდე და იასულდამდე მივიდა.

ინგლისური პრესის ცნობები.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მიერ მოპოვებული დათმობანი საიდუმლოებითაა მოცული, იმის ნიშნებია, რომ ეს დათმობანი უმთავრესად ეხება გერმანიისათვის 15 წლის შემდეგ საარის ველის დაბრუნების გამოვლენას.

იტალია კვლავინდებურად მტკიცედ იცავს თავის მოთხოვნილებებს ფიუმეს შესახებ. ამ ჟამად ძალიან ძნელია იმის იმედი, რომ იტალიელები რამეს დასთმობენ ამ საკითხში, მაგრამ მუშაობა გრძელდება და გამოსავალი უეჭველად უნდა გამოიძებნოს.

ვილსონი მომავალ კვირაში ბელგიაში წასვლას აპირებს.

მოკავშირეთა წრეები იმ აზრის არიან, რომ რანცაუ, რომელიც დღეს ვერსალში დაბრუნდა, გაცნობილია გერმანიის კაბინეტის აზრს პოლიტიკურ საკითხების შესახებ.

გერმანიის საზავო პასუხი 80 დაბეჭდილ ფურცელს შეიცავს.

გერმანული „პაციფისტური გაზეთი“ აცხადებს, რომ ელზას ლოთრინგის საკითხის გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სამართლიანი, თუ მას საფუძვლად პლებისციტი დაედება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა ვილსონის 14 მუხლის და ხალხთა თვით გამორკვევის უხეში დარღვევა.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. მაისის 25. **კარნავონი,** მაის. 25. „ტაიმსი“ იუწყება, რომ მოკავშირეები საომარ მოქმედებათა განახლებისთვის ემზადებიან იმ შემთხვევისთვის თუ გერმანია ზავის ხელის მოწერაზე უარს განაცხადებს. **ნაუენი,** მაისის 24. „ფორვერტსი“ სწერს: ამერიკის საზავო დელეგაციის შემადგენლობიდან 9 წევრის წასვლა ამერიკაში დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს: წასული დელეგატები კატეგორიულად აცხადებენ, რომ მოკავშირეების საზავო ხელშეკრულება აუცილებლად ახალ ომს გამოიწვევს. **ბუდაპეშტი,** მაისის 24. გერმანშტატიდან გამოქვეყნებულ გადმოგვცემენ, რომ დაცლილ ადგილებში რუმინელები სიმხეცეს სჩადიან. **ლიონი,** მაისის 24. მთავრობის წინადადებით საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ამნისტიის საკითხის განხილვა გადასდო. **სტოკჰოლმი,** მაისის 24. 8 საათის სამუშაო დღის შემოღების პროექტს მემარჯვენეები ეწინააღმდეგებიან ქვედა პალატაში განხილვა მოხდა. **მოსკოვი,** მაისის 25. **სამხრეთის ფრონტი.** ტაგანროგის მიმართულება. ჩვენმა ჯარმა მარიუპოლი დასტოვა. იუზოვკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ლუგანსკის რაიონი. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ლუგანსკი დაიჭირა. ტიხორეცკაიას მიმართულებით სადერემონტნაიასთან ბრძოლაა. ბელაგლინოს მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, და სოფ. ველიჩაევკო ბრძოლით დაიჭირა. **სამარა.** მაისის 24. ტყვეთ წამოყვანილ გენ. ადმირალის საბუთებიდან სჩანს, რომ მოხალისეთა რაზმებში სრული რღვევაა, მოკავშირეთა წინააღმდეგ უკმაყოფილებას გრძნობენ. **კასპიის ზღვაზე** ინგლისის ფლოტს ადმირალი ნორისი სარდლობს. ფლოტი შესდგება შეიარაღებულ სავაჭრო გემებისა და გამანადგურებლებისაგან. გემების უმეტესი ნაწილი ბაქოში სდგას, მცირე ნაწილი კი პეტროვსკში. გემებზე უმეტესად ინგლისელები არიან **ხიზრანი,** მაისის 24. „იზვესტია“-ში კოლჩაკის განცხადება დაბეჭდილი. ბუგულმასთან და ბუგურუსლანთან დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა ოფიცერთა ნაწილმა, რომელიც ბოლშევიზმით არის გამსჭვალული.

იტალიური პრესის ცნობები.

მურმანზე უკანასკნელ დამარცხების გამო ბალშევიკებმა თავისი სარდლები გამოსცვალეს. მდ. დვინაზე მოკავშირეებმა ტყვეები წამოიყვანეს და ხელთ იგდეს ტყვიის მფრქვევლები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

რუსთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები. რუსთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები თფილისში დამთავრდა. მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 8000 ამომრჩეველმა. აქედან № 8 (ეპარქიითა ბლოკმა) მიიღო—1557, № 1—სოციალისტურმა ბლოკმა—682.

◆ **სომხეთის რესპუბლიკის** ტერიტორიაზე განზრახულია ახალი რკინის გზების გაყვანა. სამისო კონცესია და ექსპლოატაცია ამერიკელებს გადაეცა.

◆ **იტალიელები და საქართველოს მადნები.** იტალიის დიპლომატიური მისიის წევრები გეოლოგიის პროფესორის ნავარაზეს მეთაურობით ჭიათურასა და ტყიბულს გაემგზავრნენ მადნების დასათვალიერებლად და გასაცნობად.

◆ **საქართველოს სავაჭრო პალატის** თავმჯდომარედ დაინიშნა ლ. აფხაზი.

◆ **„აბესალომ და ეთერი“** დღეს უკანასკნელად დაიდგმება სახელმწიფო თეატრში ივ. სარაჯიშვილის და გ. ინაშვილის საბენეფისოდ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები:

1 განყოფილება (ნაძალადევი) ექიმი ტურიაშვილისა „გიგიენა“, ი. არეშიშვილისა „ეკონომიური საკითხები“.

2 განყოფილება (ვერა) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია“, ქ. ქავთარაძე „ისტორია“, ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“.

მე 8-მე განყოფ. (ჩუღურეთი) 1) ზ. შალამბერიძე „ქიმია“ 2) ვ. ალშიბაია „ელექტრობა და ოროქლი“ 3) ა. ჟორჟოლიანი „მესამე ინტერნაციონალი და კომუნისტები“.

მე-5 თე განყოფ. (წმ. ნინოს უბანი) 1) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა“ 2) ილ. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. 3) ექ. ხოშლავა „ფიზიოლოგია“,

მე 6-ე განყოფ. (ვერთობის უბანი) 1) ექ. ხოშლავა „ფიზიოლოგია“ 2) ა. ჟორჟოლიანი „ფსიქოლოგია“. 3) ილ. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“.

◆ **ფინანსთა სამინისტროსთან** დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს სახელმწიფო გადასახადების წესი და შესაფერად შესცვალოს იგი.

◆ **მკვლელობა და გაძარცვა.** 26 მაისს ღამით ონკანოვის საპნის ქარხნიდან 200 ფუთი საპონი გაიტაცეს და მოჰკლეს დარაჯი.

კრებები.

დღეს, 28 მაისს თავის ბინაზე, საღამოს 5 საათზე შესდგება ამ. მარ. ორგ. ცეკას და საკანტროლო კომ. სასწრაფო კრება.

— დღეს, 28 მაისს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება მე-4-ე რაიონის ამხ. მარქს. ორგანიზაციის კოლექტივის სასწრაფო სხდომა.

— მ. ნ. მანდელშტამის მოხსენება: „რას უნდა მოველოდეთ აგრარულ რეფორმიდან საქართველოში“, რომელიც უნდა წაკითხულიყო 25 მაისს ქართული კლუბის დარბაზში, გადაიდო 29 მაისისათვის.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

27 მაისს თფილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობა. *) ჩამოვიდნენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკათა კოოპერატივების წარმომადგენლები. აირჩიეს პრეზიდიუმი კოოპერატივების წარმომადგენელთა სამ რესპუბლიკისაგან: თავმჯდომარედ ცაგარელი, თავმჯდომარის ამხანაგად იაკობსონი, მდივნებად კალანდარიშვილი და სემიონოვი. ორი ადგილი სომხეთის კოოპერატივთა წარმომადგენლებს მიეცა. გამომუშავებულ იქნა რეგლამენტი და მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) კოოპერატიული მოძრაობის (მომხმარებელი და საკრედიტო) დანასკვი, 2) კოოპერაცია და პოლიტიკური მდგომარეობა; 3) კოოპერაციის პერსპექტივები, 4) კოოპერატივთა ფინანსები, 5) კოოპერაცია და ადგილობრივი თვითმართველობანი; 6) კოოპერაცია და სასურსათო საქმე, 7) კოოპერაციის სხვადასხვა დარგთა ურთიერთობა, 8) საკულტურო-განმანათლებელი მუშაობა კოოპერატივებში, 9) კოოპერატიული კანონმდებლობა, 10) კოოპერატიული ცენტრი, 11) კოოპერაცია და წარმოება, 12) შეკავშირებული აღმაშენებლობა, 13) კოლექტიური ხელშეკრულობა კოოპერაციაში და 14) კოოპერატიული ინსტიტუტი.

შემდეგ აირჩიეს სამი კაცისაგან სამანდატო კომისია. მოსმენილ იქნა მოლოცვანი მთელ რიგ კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან. ყრილობა ისმენს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს მოხსენებას და მოხსენებებს ადგილებიდან.

---

*) საქართველოს კოოპერატივთა ყრილობის ანგარიშს ცალკე მოვათავსებთ.

ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ!

(26 მაისობის გამო)

და უხარიან ცას გადმოხედვა,
მზესაც შენს გულში კოცნა სწყურია,—
დროს მოუცია რაც გულში ედვა
და ბედიც შენი მეჩონგურეა!..

ვ. ტუქსიშვილის ამ ლექსით უყვავილებდა გუშინ ათი ათასობით კაცთა გულები მეწამულის ზღვა გადაშლილ საქართველოს და მასთან ერთად ჰლაღობდა, ზეიმობდა.

წითლად მოელვარე მოემართებოდა „რევოლუცია“, რომელიც განხორციელებინა უკანასკნელის ქალისა და ბარწყინვლა, აობრდებოდა მოლოდინებს.

მოიხიბლავი იყო „რევოლუცია“, მაგრამ ჩაფიქრებული. „დამოუკიდებელ საქართველოსავით არა ჰკისკასობდა მისს სახეზე ღიმილი, მხიარული სიცილი. „დამოუკიდებელი საქართველო“ იცინოდა ისე, ვით იცინის ხოლმე ქალ წული, რომელსაც გამოაღვიძებს მაჯლაჯუნასავით შემხუთავი სიზმარი და გაახელს თუ არა თვალებს, დაინახავს, რომ ის შავი ზმანება იყო მხოლოდ, სინამდვილე კი ოქროს ფრთიანი, ალმას-სხივნარი, შევარდისფერებული.

„რევოლუცია“ კი ჩაფიქრებით მოემართებოდა. თუმცა, როგორი ჰშვენოდა მედიდურება, მან იცოდა, რომ ურყეველი იყო მისი ნებისყოფა, უტეხი მისი ძალა, მისს თვალებში მჩქეფრათ შეღერებნოდა რწმენა, რომ იგი უეჭველად შეიყვანს თავის ლაშქარს მზის სამეფოში, მაგრამ მსხვერპლი, აურაცხელი მსხვერპლი აგონდებოდა, და იცოდა კიდევ ბევრს მოსთხოვდა მომავალი და ამიტომ მერქაღდებოდა ღიმილი აკოკრებული.

რა თილისმანი გაგლინა ჰქონდათ გუშინ ხალხზე ამ სიმბოლოებს. ჩემთვის რომ ებრძანებინა გუშინ „რევოლიუციას“ საზმილით ჯვარცმულ საკირეში გადამეშვი— მე ელვავით სიხარულით ერთხელ კი არა ასჯერაც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, გადავეშვებოდი და ოდნავ თვალიც არ წამოცდებოდა.

ყველა გაიმეორებდა ჩემს სიტყვებს.

ამ ორ სიმბოლოს მიდევდა „გაზაფხული“—საქართველოს უკვდავ უქანობი სილამაზის და ნაყოფიერების სურათხატება. მას თან მოჰქონდა გარეგნულთა სიცილ ქოთქოთი და სიხარულის ვარსკვლავიანი ცრემლები და ნეტარების უამრავი ყვავილები.

კიდევ იყო ერთი სიმბოლო, არ ვიცი ყველამ შეამჩნია თუ არა.

ეს იყო ჩვენი დუშმანი მტრების „შუღლიანობა“—რომელსაც შემმუსრავ ჰყავდა შურის შავი ცხენები; მოათრევდნენ მას რის საცოდაობით და მოაბნევდნენ ლინცოფას, ცუცუმყრალის და ღვარძლის თესლებს.

დავიწყების ორღო-ჩორღოში შმარხავდა და აბნევდა ამ ქიანა თესლებს ჩვენი ხალხის დიადი სულის მაღიხინებელი სიო.

გუშინ ნება-უნებლიეთ მოაგონდა დიდი რევოლიუციის დღესასწაული, რომელიც გადიხადა საფრანგეთმა 1793 წ. ბურბონების დინასტიის დაცემის წლის თავს.

მაშინ რევოლიუციის ფოლოცზე ცეცხლი წაუკიდეს „ბატონმოსმქმელთა ურემს“, რომელიც დატვირთული იყო მონობის სიმბოლოებით. ამ ცეცხლის ალიდან მორეშით ამოფრინდა თავისუფლების ქანდაკება. ზარბაზანთა გრიალი და ხალხის ყიჟინა შეეგება მას. ათასი ჩიტები სამფეროვან არშიებით ყელდამშვენებული იქმნენ აშვებული ცაში, რომ ყველასათვის ეხარებინათ ფრანგების თავისუფლებას და ძმობის დღესასწაული.

ჩვენ ეს არ დაგვჭირვებია გუშინ ვინაიდან მონობის ყოველგვარი ნიშნები დიდი ხანია, რაც გადავუშვით, ფერფლათ ვაქციეთ.

ჩვენი ჩიტუნები ჩვენი გვარდიელები კი წითელ არშიებით ყელშენასკვნილი ერთი წლის წინად რაც დაფრენილები გვყავნან ჩვენს ფრონტებისკენ, რომ ჰანგ-გაბმულებმა ლიდ დაუბნიონ სამტროდ მოსულ ლაჟვენ სვავებს.

გუშინ ეს ჩიტუნები თავიანთ თავანი შევარდენი ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით ომახიანი სიმღერით შეეგებნენ ჩვენს დღესასწაულს და უფრო მაღლა აიაშვებდნენ დუნაბის სადარ კვლიან ჩვენს ცისკენ გალაღებს.

იყო განა გუშინ საქართველოში რევოლიუციონერი და დემოკრატი, რომ უბედნიერესი წუთები არ განეცადოს?

იშვიათად თუ ენახებოდა რომელიმე ერს ასეთი წუთები. გავიდნან დიდი ჟამი მონობისაგან განთავისუფლებული, შარაგზაზე გამოსული ჩვენი მთამომავლობა დაუწყებს ფურცლავს ჩვენი ისტორიის ფურცლებს და შეეცდება წარმოიდგინოს მკრთალად მაინც ის დროება—ზეიმი, რომელიც ჩვენ გადავიხადეთ და ვერ შესძლებენ.. ბედნიერნი თავიანთი სიძლიერით და კულტურულ ძვირფას სიდამოთით—მაინც ვერ წარმოიდგენენ ჩვენს ბედნიერებას და მხოლოდ შემოგვნატრიან.

მართლაც და ნეტარება ჩვენ!

დ. თურდოსპირელი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

(წერილი როსტოვიდან)

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთი, თუმცა ზოგიერთ არა ოფიციალურ ცნობებით სახალხო კომისარები სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყოველის მხრით სცდილობენ მისი სიმპატია დაიმსახურონ. ამ ცნობებს ამოწმებს ჩვენამდე მოსული ადგილის გაზეთები, სადაც ვკითხულობთ, რომ კიევის საქართველოს სადესპანოში არა ერთი და ორი მოქალაქე გადაარჩინა ბალშევიკებისაგან სიკვდილს თავისი მფარველობით. ვიმეორებთ, ჩვენ ეს არ ვიცით, რაც შეეხება მეორე რუსეთს, რუსეთს, რომელიც ცდილობს უკან დასწიოს რუსეთის რევოლიუცია და იარაღით ხელში წინ უდგია შავრაზმულ წრეებს, ეს მეორე რუსეთი, რასაკვირველია, ყოველის ღონით ცდილობს საქართველოს დაქვეითებას და მის სახოგადოების თვალში დაცემას. ეს მეორე რუსეთი არის მოხალისეთა ჯარი და მისი წინამძღოლნი, მათი ეგრეთ წოდებული Особое Совѣщаніе-თი. ეს სათათბირო წარმოადგენს სამინისტროს, რომელიც განაგებს დღეს-დღეობით იმ ადგილებს, რომელიც უპყრავს მოხალისეთა ჯარს, მაგალითად, სტავროპოლის შავი ზღვის გუბერნია და ნაწილი ეკატერინოსლავის გუბერნიისა და შემდეგში კი, მათი აზრით, ისინი ჩაუდგებიან სათავეში აღდგენილ რუსეთს. სათათბიროში შედიან: გენ. დრაგომიროვი, გენ. ლუკომსკი, ყოფილი მინისტრი კრივოშეინი, საზონოვი და სხვები. მათ მხარს უჭერენ გაზეთები: „ედინაია როსსია“, „ნაროდნაია გაზეტა“, „პრიაზოვსკი კრაი“, „ველიკაია როსსია“ და სხვები.

მთელი წლის განმავლობაში ეს გაზეთები განაგრძობდნენ პროვოკაციას და ისინი დიდის სიხარულით შეხვდნენ საქართველო-სომხეთის ომს. როცა ამ ომში საქართველო გამარჯვებული გამოვიდა, ისინი ცოტათ დამშვიდდნენ და შემდეგში, როდესაც სოჭის ოლქი მოხალისეებმა დაიპყრეს, სრულიად დაწყნარდნენ, მაგრამ ბოლო დროს ისევ წამოჰყვეს თავი და თავიანთ შავ საქმეს განაგრძობენ. ჯერ დაიწყეს წერა, რომ საქართველოს დელეგაცია პარიზში აღარ გაუშვეს მოკავშირეებმაო და ისინი კონსტანტინეპოლიდან უკან დაბრუნესო და ვინ იცის, კიდევ რა არ სთქვეს და დასწერეს, და წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც „პრიაზოვსკი კრაი“-ში ჩვენ წავიკითხეთ წერეთლის ჩხეიძის მოხსენება საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციაში.

ჩვენ, ვინაიდან საქართველოდან, სამწუხაროთ, მოკლებული ვართ ცნობებს, გვეგონა, რომ ჩვენი დელეგაცია უკან დაბრუნდა და, რასაკვირველია, განცვიფრებაში მოვედით, როდესაც იმავე გაზეთში დელეგაციის მოხსენება წავიკითხეთ.

ამას წინათ აქაურ გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი ცნობა: „საქართველოში მდგომ ინგლისის ჯარის მთავარ სარდალმა აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომ მას მოუვიდა ცნობა თავისი მთავრობისაგან, რომელშიაც მთავრობა აცნობებს მას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობს ინგლისი და რუსეთი აღდგენილი უნდა იქნეს იმ საზღვრებში, რომელიც არსებობდა ომის დაწყებამდე, 1914 წელსო. ამ ცნობამო, დასძენს გაზეთი, ნოე ჟორდანიაზე სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია.“ო

რასაკვირველია, ეს ცნობა რუსეთში მყოფ ქართველობისათვისაც სამწუხარო იყო, ვინაიდან ყოველგან, სადაც კი შეხვდებოდი, ყველანი ამ ცნობაზე მსჯელობდნენ და იმ წამს ვე დაიწყებდნენ ლაპარაკს იმაზე, თუ როგორი შეიცვლება შეხედულობის იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატია საქართველოს საკითხში.

ამ ცნობებს მოყვა სხვა ცნობებიც და ისევ პროვოკაციის ქსელი გაიბა. დაიბეჭდა მაგალითად შემდეგი: „გენერალ დენიკინს ესტუმრნენ აფხაზეთის წარმომადგენელნი და სთხოვეს, რომ იხმაროს ძალა დაიხსნას აფხაზეთი ბალშევიკურ საქართველოსაგან და გენერალ დენიკინმა განუცხადა დელეგაციას, რომ ძლიერ მალე ის დაიპყრობს აფხაზეთს და შეუერთებს მას შავი ზღვის გუბერნიას“-ო.

ვინ იყვნენ ეს „წარმომადგენელნი“ აფხაზეთის ხალხისა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ეს კი აუცილებელია, რომ აფხაზეთის შავრაზმელები დადიოდნენ მფარველობას შავრაზმელ დენიკინთან და ამას საერთო ყური ათხოვოს საქართველოს მთავრობასთან ერთად აფხაზეთის დემოკრატიამაც.

დაიბეჭდა კიდევ შემდეგი: „როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვეცნობა, ბალშევიკური საქართველო იარაღს აწვდის მთიულებს და მოხალისეების წინააღმდეგ ამხედრებს. საერთო ბოლო მიეღება საქართველოს თავხედობას“,-ო დასძენდა გაზეთი „ედინაია როსსია.“

ამის შემდეგ გამოქვეყნდა ბრძანება გენერალ დენიკინისა, სადაც ის უბრძანებდა თერგის ოლქის მთავრობას, არავითარი სურსათი აღარ გაეშვა საქართველოსაკენ, სანამ ამის შესახებ ახლად არ გაეცნობებოდათ.

ამის შემდეგ გამოქვეყნდა შემდეგი: „ომი საქართველოსა და მოხალისეებს შორის, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ომი ჩვენს წინააღმდეგ, მე ბრძანება გავეცი დაუყოვნებლივ დაიჭირონ და საქართველოში გაგზავნონ ყველა ის ქართველები, რომლებიც საქართველოს მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებად ითვლებიან იმ ადგილებში, რომელიც უჭირავს მოხალისეთა ჯარს. მე მოვითხოვ დაუყოვნებლივ მაცნობონ, თუ რამდენათ შესრულებულია ჩემი ბრძანება შავი ზღვისა და სტავროპოლის გუბერნიებში. გენერალი დენიკინი“.

ამ ბრძანებასთან ერთად დაბეჭდილი იყო ცნობა საქართველოდან შემდეგი სათაურით: „მობილიზაცია საქართველოში: მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია ვერ ჩატარდა, გლეხობამ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას და განუცხადეს, რომ ისინი მოხალისეებთან საომრად აღარ გამოვლენ“. იქვე: „გენერალი დენიკინმა საქართველოს სამხედრო გზით საქართველოს საზღვრებამდე ავტომობილით იმგზავრა. საზღვარზე მას შეეგება ქართველი ჯარის ნაწილისაგან დელეგაცია და სთხოვეს გენერალს შემდეგი: ჩვენი ცოლშვილი იხოცება შიმშილით. გთხოვთ მოგვცეთ ნება გავიტანოთ აქედან პურის ფქვილი ცოლშვილის გამოსაკვებად. ჩვენ არასოდეს არ გვსურდება რუსეთთან მტრობა და ყოველთვის მზადა ვართ, როგორც კი მოგვიახლოვდება რუსეთის ჯარი, იმ წამსვე მათ მხარეზე გადავიდეთ. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მალე მივიღოთ მონაწილეობა ჩვენი სამშობლო რუსეთის აღდგენაში. ამის შემდეგ დენიკინმა უბრძანა მიეცათ ასი ფუთი ფქვილი ამ დელეგაციისათვის.“

იქვე: „შემოტევა დაწყებული ქართველი ჯარისაგან სოჩის ოლქში ჩვენ შევაჩერეთ“.

ყველა ამაების შემდეგ მთელი ორი კვირის განმავლობაში არაფერი დაბეჭდილა გაზეთებში და ჩვენ დღემდე არ ვიცით, თუ რამდენათ მართალია ომის დაწყება საქართველო-მოხალისეებს შორის. დემოკრატიულ ნაწილებში კი ამ ცნობებმა დიდი სიხარული გამოიწვია, ვინაიდან, მათი აზრით, საქართველომ კავშირი შეკრა ბალშევიკურ რუსეთთან და საერთო ძალით ამ შავრაზმულ რუსეთს ძლიერ მალე დასცემენო.

გაზეთ „პრიაზოვსკი კრაის“ 21 აპრილის ნომერში დაიბეჭდა შემდეგი: „ეკატერინოდარში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში ინგლისის ჯარის სარდალი გენერალი მილნი და განუცხადა გენერალ დენიკინს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არ დარჩებიან დამოუკიდებლები, ვინაიდან ინგლისის მთავრობა გულისხმობს რუსეთის აღდგენას იმ საზღვრებში, რომელიც არსებობდა 1914 წელსო. ამას გარდა, გენერალმა აცნობა დენიკინს, რომ საქართველოს მთავრობა ძლიერ მალე დაეცემაო და აუცილებლად გაიმარჯვებენ რუსეთის ორიენტაციის მომხრეებიო“.

ეს იყო ოცდა ერთ აპრილს და ოცდა სამ აპრილს კი იმავე გაზეთში შემდეგს ვკითხულობთ: „პარიზიდან წერეთელი და ჩხეიძე ატყობინებენ საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სამშვიდობო კონგრესმა დაამტკიცაო. ამ ცნობის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა იდღესასწაულოს 13 მაისი (26 მაისი ახ. სტ.), როგორც წლისთავი სა-

ქართველის დამოუკიდებლობისა და ამისათვის გადასდო ასი ათასი მანეთი".

ამ ცნობამ აქაურ წრეებში დიდი აურზაური გამოიწვია და არ იციან რა ქნან. ერთმა გამოჩენილმა ლენინის სოციალისტმა ბაასში შემდეგი მითხრა: „დღეს მე მეულოცავ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ, თუ ჩვენ შევძელით და რუსეთში დავამყარეთ დემოკრატიული რესპუბლიკა და საქართველომ მაშინაც არ ისურვა რუსეთთან შეერთება, იმ შემთხვევაში მე პირველი მოვითხოვ მის იარაღით დაპყრობასო".

მე არაფერი ვუპასუხე მას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი პასუხი მას არაფერს დაუმტკიცებდა.

ჩვენი ყოფილი ამხანაგები ვერაოდეს ვერ მოგვიტევებენ იმას, რომ ჩვენი სამშობლოს აღდგენას შევუდექით რუსეთის აღდგენამდე, რასაც ბევრი მსხვერპლი შევსწირეთ. ისინი სავსებით იზიარებენ ლენინის შეხედულებას, რომ რუსეთი აღდგენილ უნდა იქნეს იმ ფარგლებში, რომლებიც არსებობდა 1914 წელს. როგორი იქნება ეს აღდგენილი რუსეთი, დემოკრატიული, თუ მონარქიული, მათთვის სულ ერთია, მხოლოდ ის მთლიანი იყოს.

ამნაირად, ჩვენ, საქართველოს დემოკრატია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ჩვენი სამშობლოს აღდგენით, ჩვენი სახლკარის შენარჩუნებით, ჩვენი ადათის და ჩვენის წესის შენარჩუნებით, ჩვენ გადავიმტერეთ რუსეთი, რომელიც ჯერ თუმცა სუსტია, მაგრამ დროის განმავლობაში უეჭველია ის გაძლიერდება და ჩვენთან მეგობრობას აღარ ისურვებს. არ ვიცი, რომ როსტოველ ამხანაგივით აზროვნებდეს ყველა რუსეთის დემოკრატიული ნაწილი, მაგრამ ეს კი აუცილებელია, რომ დემოკრატიულ წრეებშიაც საქართველოს წინააღმდეგნი ბევრნი არიან და საჭიროა ჩვენც ფხიზლად ვიყოთ.

ჩვენმა მთავრობამ შესძლო საქართველოს გადარჩენა განადგურებისაგან, მან შესძლო დემოკრატიული რეფორმების ცხოვრებაში გატარება. მან შესძლო გლეხთა დაკმაყოფილება მიწით და თავისუფლებით და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ის შესძლებს შემდეგშიაც პირნათლად შეასრულოს და დაამტკიცოს დემოკრატიის სიყვარული.

მაგრამ, მარტო მთავრობა, უეჭველია, უძლურია, თუ მას მხარს არ დაუჭერს თვით ხალხი, დემოკრატია და ამისათვის საჭიროა ხელი ხელ ჩაკიდებული მთავრობასთან ერთად ყოფნა.

მაგრათ დავიკავოთ ჩვენი პოზიციები და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა გადავარჩინოთ იმ განადგურებას, რომელიც მას, აუცილებელია, მოელის შავრაზმული რუსეთისაგან.

თუ მოხალისეთა ჯარმა და მათმა მომხრეებმა მიაღწიეს მიზანს და საქართველო დაიპყრეს, იცით როგორი დაპყრობა იქნება ეს დაპყრობა?

ეს იქნება სასტიკი შურისძიება ყველა იმ მოხელეებისა, რომლებიც რევოლიუციით განდევნილ იქნენ თავიანთ პოსტებიდან და დღეს დენიკინთან თავმოყრილი უცდიან დროს, რომ თავიანთ ადგილებზე დაბრუნდენ.

უეჭველია, საქართველოს მომავალი რეალურ პოლიტიკაზე არის დამოკიდებული და უეჭველია საქართველოს მთავრობა, როგორც დღემდე, შემდეგშიაც შესძლებს სასახელოთ გამოვიდეს ამ უკანასკნელ განსაცდელისაგან და ჩვენი დემოკრატია სამშვიდობოზე გაიყვანოს.

გარიყული.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისის სამაზრო ს. ს. დ. მუშ. პ. კომიტეტში. 28 მაისს გაიხსნა სამაზრო კომიტეტის კრება. თავმჯდომარეობს ან. სალუქვაძე. მდივანი გერონტი კილასონია. დაესწრო 19 წევრი გადამწყვეტი ხმით, 6 სათათბირო ხმით. კრების გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით კომიტეტმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. რ. ჩიხლაძის ხსოვნას და დაადგინა მის ოჯახის დასახმარებლათ მოგროვილ იქნას შემოწირულება...

შემდეგ ამისა იწყება მოხსენებები; ბელიკლიუჩიდან შემდეგი ირკვევა; ახალ დაარსებულ ორგანიზაციებში მუშაობა გრძელდება. მთელს რაიონში პარტიაში ირიცხება 267 წევრი, ამათში 41 გერმანელი, 19 სომეხი, ბერძენი 76. ამ რაიონში ფოსტა მოუწყობელია და ჟურნალ-გაზეთები თავის დროზე არ მიდის. საჭიროა ამ რაიონში სომხურ და ბერძნული ენის მცოდნე პირების გაგზავნა.

ასურეთიდან მოითხოვენ ამხ. კრების წევრის პავლე ბიულის ჩასვლას.

სოფ. ენაგეთში პარტიისადმი ერთგვარი გულგრილობაა.

პატარძეულში პარტიის მუშაობას ხელს უშლის ყანები და მობილიზაცია ამხანაგების. პარტიაში 110 წევრია, სოფლებში სიწყნარეა.

ავჭალის რაიონიდან: 150 წევრია რაიონში, პარტიაში სოფლელებთან ერთად რკინის გზის და წყალსადენის მუშებიც შედიან. ბიბლიოთეკა დაარსდა, დადგენილია საკვირაო სკოლის მოწყობა. რაიონში შავრაზმელები მუშაობენ. შეუდგნენ გვარდიის დაარსებას, სოფლებში. უწესრიგობაა ტყის ხმარების შესახებ, რის გამოც მოსალოდნელია სოფლელთა შორის გამწვავება. მიწის საკითხის დაჩქარებით გადაჭრა აუცილებელია. ყაჩაღობა ფეხს იკიდებს.

მანგლისიდან 70 წევრია. პარტიული მუშაობა სუსტია. ადგილობრივი რეაქციონერები—მანსვეტოვი, ნემსაძე და ვაჭრის შვილი გულივრიდოვი პროვოკაციას ეწევიან, განსაკუთრებით გვარდიაში. ამ დღეებში მოხდა პარტიული ორგანიზაციის რეორგანიზაცია. რაიონში მრავალი ერებია. რუსები და ოსები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პარტიაში და არც სხვა ორგანიზაციებში. პირიქით, ისინი მტრულათ უცქერიან ჩვენს რესპუბლიკას.

მიწის შესახებ მდგომარეობა გამწვავებულია.

დილომიდან პარტიაში 100 წევრია. სოფლებში სიწყნარეა.

საგარეჯოში 70 წევრია. საწევრო ფული შემოდის. სხვა პარტიებიც მუშაობენ. ინტელიგენცია ჩვენთან არ არის.

მარტყოფში ორგანიზაცია ბოლო ხანებში მოეწყო. სოფლებში შიმშილის აჩრდილია. პური გამოილია. კულტურული და იდეური მუშაობა არ სწარმოებს. მიწის საკითხი გამწვავებულია ნორიოსა, ნიკოლაევკასა და მარტყოფს შორის განაწილების შესახებ. პარტიაში 105 წევრია.

ნორიოში სურსათის ნაკლებობაა. ნაწილი პარტიული ამხანაგების ბრძოლის ველზეა. პარტიაში ირიცხება 100 კაცი.

ხაშმში პარტიაში 85 წევრია. მდგომარეობა ისეთივეა, როგორც სხვაგან, მიწის საკითხი არ არის გამწვავებული ისე, როგორც სხვაგან.

გიორგიწმინდაში პარტიაში 80 წევრია. სურსათი გამოილია სოფელს. ამ ნიადაგზე მღელვარებაა. თუმცა შეძლებულ პირებს პური აქვთ, მაგრამ გლეხებს უმალავენ და სპეკულიანტებზე ჰყიდიან. ადგილებიდან მოხსენებებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა ასურეთში გაგზავნილ იქნას დამფუძნებელ კრების წევრი ბიული კონფლიქტის სალიკვიდაციოთ. ავჭალის შავრაზმელთა შესახებ კრება წინადადებას აძლევს ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ ენერგიული ბრძოლა გამოუცხადონ მათ. აგრეთვე შავრაზმელთა ასალაგმავათ ზომები უნდა მიიღოს სახ. გვარდიის შტაბმა, პეტროსიანცის საქმიანობა კი მოხსენდეს, სადაც ჯერ არს.

მიწის საკითხის შესახებ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ეცნობოს ერობას და სადაც ჯერ არს დაჩქარებით იქნას გაგზავნილი მომწესრიგებელი კომისიები.

პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. კილოსანია. პრეზიდიუმის მოხსენებას კრება დებულობს და მოხსენებას ისმენს მომენტის შესახებ, რომელიც გააკეთა ცენ. კომ. წევრმა ა. სალუქვაძემ. მომხსენებელი კრებას აცნობს შინაურ და გარეშე მდგომარეობას და დასასრულ კომიტეტს აძლევს ცნობებს ცენტ.-კომიტეტის მოქმედებიდან სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხების შესახებ. 26 მაისის დღესასწაულის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ თფილისთან ახლო მდებარე სოფლებმა მიიღონ მონაწილეობა ქალაქის ზეიმში. ადგილობრივათ ყველგან გაიმართოს კრებები და სადამოები.

წვრილ ერთეულების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ასათიანმა, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებე; წვრილი ერთეულების გამგეობის ორგანიზაციის მოწყობა და გამგეობის წევრთა გამოსანახავათ კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც დაჩქარებით შეუდგება მუშაობას ერობის ს. დ. ფრაქციასთან ერთად.

კომიტეტმა დაადგინა, რომ ამიერიდან მოწვეული იქნას კომიტეტის პრეზიდიუმში ერობის სოც. დ. ფრაქციის წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმით.

მდივანი გერ. კილახონია.

პროვინცია

ბორჯომი. 18 მაისს მოხდა ბორჯომის მომხმარებელ საზოგადოების „ზემო ქართლის" წლიური კრება. დღიურ წესრიგს შეადგენდა შემდეგი კითხვები: მოხსენებები გამგეობის და სარევიზიო კომისიისა, წარსული წლის ანგარიშის განხილვა, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და არჩევნები. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ დეკ. ი. გორგაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ყველა ის დაბრკოლებები, რომელნიც ხელს უშლიდენ გამგეობას, განსაკუთრებით სურსათის მიწოდების საქმეში. კრების თავმჯდომარეთ კრებამ ქ. შახნაზაროვი აირჩია, მდივნათ გ. დლონტი. განვლილი წლის შემოსავალ-გასავლის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ზ. ნებიერიძემ. სარევიზიო კომისიიდან—კ. ჯაფარიძემ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საზოგადოებამ წლის თავზე ყოველივე ხარჯის გარდა წმინდა მოგება დარჩენია 42097 მ. 87 კ., კრება არავითარ ანგარიშს არ უწევდა წარმოდგენილ ანგარიშებს, სხვადასხვა შეუფერებელ რეპლიკებით აჰკობდენ გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს. როგორც შემდეგ გამოირკვა გამგეობას არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ჰქონდა ჩადენილი, მხოლოდ აღნიშნეს რამდენიმე დეფექტები, რომლის თავიდან აცილება შეეძლო გამგეობას. კამათის შემდეგ წარმოდგენილი განვლილ წლის ანგარიშები და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ დაამტკიცა. დაამტკიცა აგრეთვე მოგების სხვადასხვა საზოგადო პოლიტიკური და კულტურული დაწესებულებათა შორის განაწილებაც. კრება დიდი აურ-ზაურით და უწესოდ ჩატარდა. გამგეობაში აირჩიეს: გრ. დლონტი, ზ. ნებიერიძე, ზ. კიკნაძე, მ. პეგელიძე და გ. გელაშვილი. კანდიდატებათ ალ. მაისურაძე, მ. ლეთუნაშვილი. სარევიზიო კომისიაში რ. გაგუა, თ. ტაბლაბაძე და იგ. ხმალაძე.

ნოდე.

— —

ბათუმი. ბათუმში ხშირად ხდება თავდასხმა და ამ შემთხვევას მეტად უსიამოვნება მოსდევს ხალხზე და უდანაშაულოც იხოცება. 20 მაისს ბათუმში ბოროტმოქმედებმა თავდასხმა მოახდინეს სასტუმრო „იმპერიალ"-ში. გაუტაცნიათ, როგორც ამბობენ, ორი მილიონ მანეთამდე. გაძარცულები უმეტესად ევროპელი ვაჭრები არიან, რომელნიც დროებით სასტუმროში იყვნენ გაჩერებულნი. ავაზაკების აღმოსაჩენად ზომებს ღებულობდნენ ბათუმის ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელობით. გამჩხრეკელ რაზმს, ინგლისის აფიცრების ხელმძღვანელობით, გადაუწყვეტია მატარებლის გაჩხრეკა, რომელიც გამოდის თორმეტი საათის შემდეგ, ნაშუადღევს. ამ სახელო მატარებლის გაჩხრეკა დაუვალებიათ მახინჯაურსა და ბარცხანას შუა რკინის გზის ყარაულისათვის და თვით გამჩხრეკი რაზმის უფროსი ინგლისის აფიცერი თავის ჯარისკაცებით და რამდენიმე მილიციონერით ჩასაფრებულან და იშხულ ადგილას. მატარებელმა როცა დანიშნულ ადგილს მიაღწია, მებუტკამ მატარებლის გასაჩერებელი ნიშანი მემანქანესთვის უჩვენებია, მაგრამ მემანქანეს არ გაუჩერებია. (ვერ შეუმჩნევია, თუ განგებ არ შეაჩერა მატარებელი—ეს გამოურკვეველია) გამჩხრეკმა რაზმმა, როცა შეამჩნია, რომ მატარებელი არ ჩერდებოდა, ზედიზედ ზალპი მისცა ორთქლმავალს, მაგრამ გაჩერების მიზნით ჰაერში კი არ გაისროლა, არამედ ორთქლმავალზე და ვაგონზე დაუმიზნეს. რასაც მოწმობს ვაგონის და მისი ფანჯრების ტყვიით დაჩხრეკა. მგზავრისაც ტყვია გაჰკრიათ და სისხლი მოსდიოდა. ასეთმა უეცარმა სროლამ მგზავრები მეტად შეაშინა. გაჩხრეკის დროს ნამდვილად უწმაწური სიტყვებს ხარჯავდა ერთი გამჩხრეკი რაზმელთაგანი, რუსი, რომელიც ქართველებს სდებდა ბრალს: თქვენ ხართ ყველაფრის სიავის ჩამდენიო.

იაკო გოთუაძე.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" 111 ნომერში, ახალ ამბებში, მოთავსებულია ცნობა, რომ მეთერთმეტე კომისარიატის უფროსმა მილიციონერმა ბერძნიშვილმა ძმას ესროლა რევოლვერი და შემთხვევით დასჭრა იქვე მჯდომი ქალიო. ჩემთან რწმუნებულ კომისარიატში ორი მილიციონერი არის ბერძნიშვილი—იორდანე და ალექსანდრე. ძმას რევოლვერი ესროლა ალექსანდრე ბერძნიშვილმა. უკანასკნელი დათხოვნილი არის სამსახურიდან და დატუსაღებულია. რაც შეეხება ქალის დაჭრას, ეს არ შეეფერება სიმართლეს. სროლის დროს არავინ არ დაჭრილა.

კომისარი მე XI კომისარიატისა გ. ჩიქვინიძე.

განცხადებანი

სახალხო თეატრი

ოპერა ს. ი. ველიჩიშვილის ხელმძღვანელობით. ოთხშაბათს, 28 მაისს, ი. სარაჯიშვილისა და ი. ინაშვილის ბენეფისი მე-15 ჯერ

აბესალომ და ეთერი

მონაწილეობენ: შუღლინა, ვიშნევსკაია, მორიოხოვა, სარაჯიშვილი, ინაშვილი და სხვ.

პალტოები, იუბკები და ბლუზები

მიღებულია პარტია დამზადებული ქალის ტანსაცმლებისა: პალტოები, იუბკები და ბლუზები, შეკერილი მაგარი რუსული ფერის მატერიებისაგან. გაიყიდება მ. წ. 27 მაისიდან მეტად ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი № 6 (ქართ. კლუბის პირდაპირ). (2—1)

18 მაისს ვორონცოვის ძეგლთან დავკარგე: საფულე, რომელშიაც იყო: 200 მან. ფული, „სადღეთაობის" თეთრი ბილეთი, სამ. საქართველოს უფროსის მიერ მიცემული დროებითი თავისუფლების მოწმობა და ექიმის მიერ მიცემული მოწმობა ავადმყოფობის შესახებ. ნაპოვნს ვთხოვ მოწმობები გამომიგზავნოს და ფული საჩუქრათ მიიღოს. ჩემი მისამართი: სამოვალინი ქ. № 9 ილია მანგაძე.

ექიმი ლ. ა. ხარაძიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აფთიაქის ახლო.

ექიმი მ. ფ. მხაღოხლიშვილი
ქალისა და სალოსტაქრო ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ., ოლღინის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, [illegible] და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დილიდან 12—2 ს. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღ 5—7 ს. პუშკინის ქუჩა № 9.

ექიმმა ი. ზ. ხოშტარია
განაახლა მიღება ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებისა. ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე, გრიბოედოვის ქუჩა № 2 ტელ. 4—15.

ექიმი ქალი რ. შ. შილდო-ხაზაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ფილადელფიის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ზიხარიონი კოკოზი
[illegible] ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—1½ საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

გაიხსნა თვალის სამკურნალო (მუდმივი საწოლებით) ექიმი ლოზინინა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ჟენევაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ბ. ბ. მიხრაბაძე
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] და გულის. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, [illegible] და არსენალის [illegible] ოპერაციებს, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი დ. შ. ჯაჯანიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა: [illegible] ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ნიკოლოზ იოანის ძე მახვილაძე
იღებს [illegible] (ცეცხლით და მისი შედეგებით დასნეულებულთ) [illegible], ქორეით და სხვა შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ა. მ. პაატაშვილი
იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ., № 43.

ექიმი ვ. ა. [illegible]
[illegible] სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914"), [illegible] (ტრიპერი) და [illegible] ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 8—10 და საღამოს 5—7 საათამდე. ქალებისა საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] მისამ.: [illegible] ქ. № 33.

ექიმი შ. ი. მურჯიანი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე. ბინა ოლღის ქუჩა № 24, ტელეფ. 1—35.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
[illegible] შინაგან, ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მიხაილოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

კბილის ექიმი ანტონ პავლეს ძე ურუშაძე ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—1 და საღამოს 4—7 საათ. გოლოვინის პროსპ. 84. ტელ. 10—81.

გახსნილია ქირურგიული სამკურნალო მუდმივი საწოლებით. მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფონი 5—97. ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრულ პანსიონით.

ექიმი შ. ძიძიაშვილი
სპეციალისტი: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფობა: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლავების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლის [illegible] ავადმყოფებს [illegible] 1 საათ.—8 საათ. ბინის მისამართი: პეტროგრადის ქ. № 4, კუთხე მიხეილის პროსპექტისა, კირიონის ქუჩის მახლობლათ, ტელეფონი 8—48.

დიდი სეირნობა

გაიმართება ხუთშაბათს, 29 მაისს, არტისტულ საზოგადოების საზაფხულო ბაღში (მიხეილის ქუჩა სასტუმრო „ნოე"-ს გვერდით) სახელმწიფო საშუალო კულტურ-ტექნიკურ სასწავლებლის სასარგებლოდ.

დილით 12 ს.—3 საათამდე იქნება საბავშვო სეირნობა: მოწყობილი იქნება სხვადასხვა საბავშვო სათამაშოები გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. დაუკრავს მოწაფეთა ორკესტრი საღამოს 4 საათიდან სეირნობა უფროსებისთვის. კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას: ქ-ნი ვალ დევეცკაია, ბ-ნი სარაჯიშვილი, ბ-ნი ინაშვილი და სხვანი. კაბარე, ვახშამი, ბალეტი ქ-ნი ბოლგარსკის მონაწილეობით. მოწაფეთა ხორო. ბედნიერების კლიტი, ფოსტა, პეტი-შვუ, ლოტო და სხვა გასართობები. დაუკრავს სახალხო გვარდიის ორკესტრი და ზურნა.
ბილეთების ფასი: უფროსებისთვის 3 მან., ბავშვებისთვის 1 მან.
სეირნობის მომწყობი: ქ-ნი მ. ქ. რამიშვილისა.

სტამბოლში მიმავალ ქართვ. ვაჭართა საყურადღებოდ

ბ-ნი ვ. გორდელაძე ღებულობს საკომისიო საქმეებს საქონლის ყიდვისა და გამოგზავნის საქმეებში. მისამართი სტამბოლი, მთავარი ფოსტის პირდაპირ კინაჯიან-ხან საბაჟო სახლი ქაშ-რუს. მმართველ გ. გორდელაძე.8 (10—